



ნახ. ზ. ზორაბიძისა


№ 17 (1291)      სექტემბერი      1968

# სიყვანუ

გამოცემის 45-ე წელი ფასი 20 კპ.

— ეა, მანდ რას ჩატუტჷლსარ?  
— სარქლოვს ვათვალთერებ, მაჷმოჯან, ვინდ აბანოჷ  
ვინახავს, ვინდ ჟუჩაჷ!

— რა მოვივიდა ხელზე?  
— ჩვენს დასასვენებელ სახლში ისეთ კერძებს აგზაღებდნენ,  
თითებს ვიკვნივტლით.



ნ. ა. ჯ. ლოლუასი

# ბლუზარგენ



## ოქროს თევზი

(იგავ-არაჯი)

ერთმა მწერალმა ისროლა ზღვაში  
ბადე და ლამის დაღამდა ცდაში.  
და როს ფიქრობდა შინ დაბრუნებას,  
თვით ოქროს თევზი ამოჰყვა მაშინ.

ეს თევზი ის ხომ არ არის ნეტა კ.  
ვისზეც ოდესღაც პუშკინი წერდა?  
ის ამეტყველდა კაცური ენით,  
კაცს გაკვირვების დაეცა ელდა.

„დამაბრუნეთ ჩემს ლამაზ სახლში,  
კვლავ გამიშვიო ამ ცისფერ ზღვაში,  
რაც გსურს, ისურვე, რაც გინდა, მთხოვე,  
ყველას უკლებლივ მიიღებ მაშინ.

თუ გაქვს ძველი და პატარა სახლი,  
უცებ შევიცვლი დიდით და ახლით.  
მანქანა არ გყავს? — „ვოლგას“ გაჩუქებ  
და სიარულით ფეხს ნულარ დადდი.

თუ გარაჟისთვის არა გაქვს ფული,  
მაგაზუნდაც ნუ დაგწყდება გული,  
დაგიდგამ ისეთ მშვენიერ გარაჟს,  
რომ იყოს მართლაც საზღაპროდ თქმული.

სახლს დაგიმშვენებ ლალით და გიშრით,  
ფურსითთაც ოქროს ხალეებს გაგიშლი,  
რაც გსურს, ისურვე, რაც გინდა, მთხოვე,  
ოღონდ ჩემს ცისფერ ზღვაში გამიშვი!“

გაწყრა მწერალი, განრისხდა ძლიერ:  
„გამოსასყიდი ვით შემადლიე,  
ვინა გგონივარ? იქნებ მიყურებ  
ვით უღარიბესს, მწყურვალს და მშიერს?“

აბა, მითხარი, ეს როგორ მკადრე,  
არა გცოდნია შენ მწერლის ყადრი,  
სახლიც მაქვს, ფულიც, გარაჟიც,

„ვოლგაც“  
შეგინდობ მხოლოდ პუშკინის ხათრით!“

თქვა, ოქროს თევზი ისროლა ზღვაში,  
ზღვამაც შემოჰკრა ტალღების ტაში:  
თევზის ამბავი უამბო ცოლსა,  
როცა მწერალი დაბრუნდა სახლში.

უსმენდა ცოლი გაკვირვებული,  
შემდგე წამოხტა გააფთრებული:  
„ასე ტყუილად რატომ გაუშვი  
ის ოქროს თევზი შეჩვენებული?!

მადლობა ალაჰს, ქვეყანამ იცის,  
მშვენიერად ვცხოვრობთ, არარა გვიჭირს,  
მაგრამ ერთი რამ რად დაგავიწყდა,  
რატომ ოქროს თევზს არ სთხოვე ნიჭი?“

# ბლუზარგენ

## მ ი ნ ი ა მ უ რ ე ბ ი

**თაბარა** სიცხეა. შარავზაზე სატვირთო ავტომანქანა მიჰქრის. კაბინაში ორნი სხედან — მძღოლი და გულუბრყვილო მგზავრი.

მგზავრი სიცხემ შეაწუხა და მძღოლს თხოვა, მანქანა გააჩერე, ძარაზე ავალ, იქნებ ცოტა სული მოვითქვაო.

მგზავრი ძარაზე ავიდა, გაგრილდა და მძღოლს ჩასძახა: შე კაცო, ამოდი ზევით, რა სივრილეა, რომ იცოდე, რას იხრუკები მაგ სიცხეშიო.

**გულუბრყვილო** კაცმა თითბრის ახალი ტაშტი იყიდა, ოსტატთან მიიტანა და თხოვა: შუაზე გაჭერი და ხელახლა შეადუდეო.

ოსტატს დაენანა ახალი ტაშტი, მაგრამ გულუბრყვილო კაცმა დაჟინებით გაუმეორა თხოვნა.

ოსტატმა ტაშტი გაჭრა.  
— სივრძეზეც გაჭერი და ისევ შეადუდეო, — თხოვა მუშტარმა.

ოსტატმა ეს თხოვნაც შეუსრულა და მორიდებით ჰკითხა: ახლა მაინც მითხარი, ეს ახალი ტაშტი რატომ გამაჭრევეინეო.

— წინდახედული ვარ, — მიუგო გულუბრყვილო კაცმა, — ჩვენს სოფელში ოსტატი არ არის და რომ გამიტყდეს, ვინ გამიყეთებსო.

ლილი ნუსუბიძე

# პ ა ლ ა დ ა

## 27X34167387

ის იყო მაფრასას პირი მოფუკარი, რომ საბარგო მანქანაც მოგვადგა. წყნეთში, 400 მანეთად ნაჭირავებ ბინაში მიმყავდა ცოლ-შვილი და-სასვენებლად. ამ დროს ჩემმა პატარა ბიჭმა შემოირბინა და გახსნილი კონვერტი გამომიწოდა. ხმამალა წავიკითხე. ცოლი გაკვირვებული მიყურებდა.

„შვილო, ცხონებულ მამაშენს ზურგი ჰქონდა გადატყავებული სოფლიდან ქალაქში ხურჩინის თრევით. უმაღლესი და-გამთავრებინეთ, კაცი გამოვიყვანეთ, იმის მაგივრად, რომ სოფელში დაგეწყო მუშაობა, მოგეხედა სახლ-კარისათვის და გაგეხარებინა მშობლები, თბილისში პროფესორს ჩაესიძე, მეცნიერი გახდი. შევარცხვინე შენისთანა შვილი! სოფელში ჩამოსვლას თავილობ. როდემდე უნდა ვიყო, ბიჭო, შვილიშვილებს მონატრებული? შარშანწინ, ზაფხულში, კარმიდამო მიმატოვებინე, წყნეთში წამიყვანე, ვითომც დასასვენებლად და შორიდან წყლის ზიდვით ფერღები ამომივდე. თბილისიდან სურსათ-სანოვავის თრევით, შე საცოდავო, წელი გქონდა მოწყვეტილი და ჯიბე — გამოწმენდილი. ამას თუ თბილისელები დასვენებას უძახით, არ ყოფილა საშველი! ერთ ოთახში 400 მანეთს რომ იხდი, მაგ ფულით ჩვენში ორ მეწველ ძროხას იყიდდა კაცი და სეზონზე ათ სახლს დაიჭირავებდა. ადამიანს ასეთი ბარაქიანი სოფელი ჰქონდეს და რომელი ჰქუათმყოფელი აპყვება მეზობლების ფეხის ხმას? გაიძახით, წყნეთში ულტრა-იისფერი სხივებიაო. მეჯვრისხევეში იმდენი ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივებია, ბავშვებს კი არა, მთელ თბილისს გაწვდებია. მერე რა კირკიტა კაკალივით მაგარი ბიჭები იზრდებიან! ახალი საავადმყოფოც კი აგვიშენეს, მაგრამ რად გინდა? ექიმების ჯინაზე კაციშვილი არ ხდება ავად. მალე, ალბათ, დასასვენებელ სახლად გადააკეთებენ. ამას იმიტომ გწერ, რომ გოგლიმოგლითა და ვაფლის ჭამით დასუსტებულნი, ჯირკვლებიანი ბავშვები ჩამომიყვანონ და სააღდგომო გოჭებევით დაგისუქონ. იმ აღმართზე ყოველდღე ასვლა-ჩამოსვლისას შენი ცოლი სულ თავზე ხელს იღებდა და წარამარა გაიძახოდა, შაკიკი მაწუხებსო. თავის ტკივილი კი არა, მიკვირს, სული როგორ ედგა. ხან კოსმეტიკის ექიმთან წაბრძანდებოდა თბილისში, ხან — საპარკიმანეროო, მანიკურ-პედიკურის, კონცერტით, დაბადების დღეო, პანაშვილი და დაკრძალვაო, რომოცი და წლისთავიო, ჯანდაბა და დოზანაო. ვითომ, მეჯვრისხევეს წყნეთი რითი სჯობს: თუ ბელგიის დედოფალი ელისაბედი გვეწვია და ალტაცებულა დაბრუნდა თავის სამშობლოში, იქნებ შენმა დედოფალმაც გვიკადროს! ჩემებითა და მოკლე კაბით სიარული პირველად აქ დაიწყეს, მანიკურ-პედიკურს აქაც აკეთებენ და თმებსაც ღებავენ, წარბებს ისე გამოუქნიან, ძაფევით დაუწვრილებენ ხოლმე. არც კინო და კონცერტი გვაკლია, ტელევიზორიც გვაქვს, ვაზიც და მაცივარიც. დავიჯერო, არ მოგენატრა ჩოფურაანთუბანი, ჭიაკოკონა, ჭიდაობა, სოფლური ღვინო და სალაშურზე დაკრული საცეკვაო? ჩვენმა სახელოვანმა ილიკო სუხიშვილმა აქ ისწავლა ცეკვა-თამაში. მთელი დღენია შემოიარა, მაგრამ თავის სოფელს არ ივიწყებს. შენ ვის დაემსგავსე, ნეტავი ვიცოდე? ჩვენი სასიქადულო ანასტასია ერისთავ-ხოშტარის დაბადების 100 წლისთავზე, შენს გარდა, ყველა იყო. რამდენი რამ აშენდა სოფლად — სკოლები, პოლიკლინიკა, შამპანურის კომბინატი, მეფრინველეობის ფაბრიკა, სამკითხველო, ქუჩები მოასფალტებულია, ნავთის წერტი გაკოტრდა. ჩამოდით, შვილო, თქვენი ხელით დაკრიფეთ თურაშაული, კეხურა, ქანგარა, ყვითელა ვაშლი, მოკლეყუნწა, კალოს მსხალი, სულიანი გულაბი, ალექსანდრეული. ატამს ტოტები ემტვრევა, ორკაბი მაინც შეუყენე, შე უღმერთო! მახსოვს, სარის ღობიო გიყვარდა, იმერულა ყურბენი, ბუღდემური, რქაწითელი, საფერავი, საწნახელში გოდრით რომ ჩაყრიდი ხოლმე. ბიჭო, შენი დაწურული ღვინო მომენატრა. ჩამომხედე, ჩიტის რძეს არ მოგაკლებ, ერთ კაბიკს არ დაგახარჯვინებ, შენს ცოლს, ჩაცმა-დახურავზე სული რომ მისდის, აქაურ მაღაზიაში რა გინდა, სულო და გულო, ვერ იშოვოს! თბილისში, სანთლით რომ ეძებოს, იმისთანას ვერ ნახავს. ნამყენ კახურ საზამთროსავით რომ გადმოგიშვებია მაგ ღიპი, ხომ ხედავ, თბილისში საცურაო აუზმაც ვერ გიშველა?! ჩამოდი, ვენახი დამიბარე, ერთ თვეში ტარანივით გა-

ხდი. აღარც ინფარქტი შეგაწუხებს და აღარც წნევა. ჩამოდი, დედა გენაცვალოს, კერას ნუ გამიცვივებს! ვიცი, შენი ჭინჭყლი ცოლის ამბავი: ათას რამეს მოიმიზეზებს, მაგრამ, თუ ვაუკაცი ხარ და შლიაპის მაგივრად ქული გხურავს, აჭაქოს ვაფრცხვანა ივარგე, ჩამოდი!“

ღმერთმა უშველოს ჩვენს თავგზააბნეულ ფოსტალიონს, შეცდომით სხვისი წერილი რომ მოგვიტანა. ახლა მეჯვრისხევეში ვართ, ზღაპრული ადგილი ყოფილა, საჭმელ-სასმელის სიუხვეა, თავს ჩინებულად ვგრძნობთ, წყნეთში მისაცემი ბინის ფულით ბავშვები გამოვაწყეთ, ცოლმა ორი იტალიური ფეხსაცმელი მიიმატა და მეც არ დამწყვიტა გული: სოფლის კოოპერატივში დაკრონის კოსტუმი მიყიდა.


თენგიზ I

ნახ. 8. კუსტინა




— თუ შეიძლება, ჩემი სახლის მისამართი მომეცით!

ნახ. 8. პაპაშვილი




— ნახე, როგორ გამოვადეპი სოფელს, რაც მატალურბიულ ქარხანაში დავიწყე მუშაობა.

ნახ. 8. ფირსცალაპასი



უსიტყვოდ



ნ. ბაქრაძის მიერ შექმნილი პოლიტიკური კარტიკა

იორიული გზაჯვარება

დამბა მალე, მშობლო, მაგრამ ზოგადად არ დამბა... ზეპირი მინდობის თანხმობის შემდეგ...

შენი კარგად იცი, ამ ბოლო წლებში, დიდი ხანია... მათი მთავარი მიზანობა, სხვათა მტკიცე...

ამოცა ამ იერი, ამ ნაქვრის ხშირადი ადგილად... დამდინებ მხოლოდ მატარებლის ბოლო ვაგონში...



მომრის დილო, მომრის გილო...

მომრის დილო, მომრის გილო, — ვინ იღონია ცანცარი, ყველას ცხვირში გაბურბონა...

ნათი ახე თუ, წესით ახლად ახე უნდა იყოს, მაგრამ... მომრის დილო, მომრის გილო...

ბოლოს, ისიც ამ ვიწრო საქმეზე ვადალო, ფაქტობრივად... მომრის დილო, მომრის გილო...

ფურცაბაძის ვადალო და დანდალო, მაგრამ ვაგონში... მომრის დილო, მომრის გილო...

შეუბნებოდა და დაელოდა, მაგრამ ვაგონში... მომრის დილო, მომრის გილო...

ზია ივანიშვილი

მელოქიზობრება გვიხველა

მელოქიზობრება გვიხველა — არ იმეოქიზობრება — სტრინოვადი დასმის გვიხველა...

დღეობი ვიგამ დადგეობი — იმეოქიზობრება — სტრინოვადი დასმის გვიხველა...

მელოქიზობრება გვიხველა — არ იმეოქიზობრება — სტრინოვადი დასმის გვიხველა...


მელოქიზობრება გვიხველა — არ იმეოქიზობრება — სტრინოვადი დასმის გვიხველა...

მელოქიზობრება გვიხველა — არ იმეოქიზობრება — სტრინოვადი დასმის გვიხველა...

მელოქიზობრება გვიხველა — არ იმეოქიზობრება — სტრინოვადი დასმის გვიხველა...

მელოქიზობრება გვიხველა — არ იმეოქიზობრება — სტრინოვადი დასმის გვიხველა...

მელოქიზობრება გვიხველა — არ იმეოქიზობრება — სტრინოვადი დასმის გვიხველა...



თამარის რეკონსტრუქციის მიხედვით კარგად დასალოქიზობრება

მელოქიზობრება გვიხველა — არ იმეოქიზობრება — სტრინოვადი დასმის გვიხველა...




მელოქიზობრება გვიხველა — არ იმეოქიზობრება — სტრინოვადი დასმის გვიხველა...



მელოქიზობრება გვიხველა — არ იმეოქიზობრება — სტრინოვადი დასმის გვიხველა...



— რატომაც, რომ ამ თვეში რძის ჩაბარების გეგმას ვერ ასრულებთ?  
— გვალვინანი ზაფხულია, კარაქშიც, რძეშიც ბასარკვს კი არა, დასალევ წყალს ვერ ვშოულობთ.



(პატარა ფელეტონი მცირე გაზვიადებებითურთ)

სიხუმრამდე ბილეთები ვნუკოვოს აეროდრომზე, მომავალი წლის სექტემბრის ჩათვლით, უკვე გაყიდული იყო, ამიტომ მორიგე ადმინისტრატორმა მითხრა:

— მოდიტ, გაფრინდით კამჩატკაზე! იქ თავისუფლად იშოვნით ბილეთს ტაშკენტამდე, შემდეგ კი... თუმცა, მოითმინეთ! ტაშკენტიდან თბილისში მაინც ვერ მოხვდებით. რა უნდა ჰქნათ?

არც მე ვიცი-მეთქი, ვუპასუხე. ადმინისტრატორი ჩაფიქრდა.

— რა მოხდება, უცებ რომ მსოფლიოს გარშემო ტურისტული საგზური ვიშოვნო, — ვიხუმრე მე, — და საიდანმე, ვთქვათ საზღვრიდან, ერევანში გადავიდე?

— არაფერი გამოგივათ! — მითხრა მორიგემ, — უკვე სინჯეს!

— რატომ? მესაზღვრეები არ გამოიშვებენ?

— არა. მესაზღვრეები შეგიცოდებენ და გაგიშვებენ, მაგრამ ერევნიდან მაინც ვერ ჩახვალთ სოსუმში.

ალბათ, გადავიფიქრებდი სოსუმში ჩასვლას, ერთი მოქალაქე რომ არ გადამყროდა (იგი თვეზე მეტი იყო, რაც არაყს სვამდა ვნუკოვოს აეროდრომზე, რადგან ვერ იქნა და ვერ მოახერხა სიმფეროპოლში ჩასვლა) და ოდესამდე ბილეთი არ მოეყიდა. ჩაფრინდი ოდესამდე. სწრაფად გადავლახე წყლის საზღვარი, რომელიც ამ მზიურ ქალაქს მეორე მზიურ ქალაქ სოჭისაგან აშორებს.

აქ არ მოყვები იმის აღწერას, თუ რა თეთრი ღამეები გავატენე „მოლდავეთის“, „აჭარისა“ და „პეტრე დიდის“ გემბანებზე. ღამით გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ ვიყავი გახვეული და საყვირთან მეძინადლისით კი შხაპს ვიღებდი ნერვების დასამშვიდებლად. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ სოჭაში საღამოს ათ საათზე ჩავედი.

თავისთავად ცხადია, ყველა მატარებელი, რომელთა სახურავზე თავისუფლად შემოდოლო ჯდომა სოსუმში ჩასვლამდე, კარგა ხნის წასული იყო. ავტობუსები არ მოძრაობდნენ, არც ვერტმფრენები ფრენდნენ. მხოლოდ კავშირგაბმულობის სამინისტროს ავტოფურგონი იდგა და ვილაცას ელოდა. მუხლებზე დავეცი და გულკეთილმა მძღოლმა ხუთ მანეთად აღლურამდე ჩამიყვანა. მოედანზე გავვარდი, იქ ათიოდე ტაქსი დამხვდა. ერთად შექურებული მძღოლები აეროვაჯლის კარებთან მზიარულად ჰყვებოდნენ ამ მთისა და იმ ბარის ამბავს. ყველამ ცივი უარი მითხრა გაგრაში ჩაყვანაზე. ზოგს ჩემი ფიზიონომია არ მოსწონდა, ზოგი, უბრალოდ, დუმდა. ბოლოს, ერთმა მითხრა, ოცდაათ მანეთად წაგიყვან, ოღონდ ფული წინასწარ უნდა მომიტეო.

რადგან საღი აზროვნების უნარი დაკარგული მქონდა, ოცდაათი მანეთი ჩავეუთავლე. მძღოლმა ახალ გაგრაში დამტოვა, თუმც მე ძველ გაგრამდე გავურიგდი.

ღამე პალმის ძირში გავათიე. ვინ იცის, იქნებ, პალმა კი არა, ბანანიც კი იყო, მაგრამ მათი ერთმანეთისაგან გარჩევის თავი მე არ მქონდა. რა თქმა უნდა, დაღლილდაქანცულს, გვიან გამომეღვიძა და ელექტრომატარებელმა გამასწრო. მაშინ პლაჟზე გავედი, ტანთ გაეხსადე, ტანსაცმელი შევკარი, ცალ ხელში დავიჭირე და შეცდომით ჩრდილოეთისაკენ გავცურე. ერთერთ სადგურთან დამაკავეს და ისევ გაგრაში ჩამიყვანეს. გზა გაგრიდან სოსუმამდე მილიციის ავტომანქანით დავფარე.

სამი დღის შემდეგ დამთავრდა ჩემი თხუთმეტდღიანი პატიმრობა და, მასთან ერთად, შეგებულებაც... ახლა იმაზე ვფიქრობ, უკან, მოსკოვში როგორ ჩავიდე.

ფეხით მგზავრობას ხომ არ მიჩრევიდით, ა?

3. მიტინი



— არ ბრცხვინია, აგბროსი? ამ ხნის კაცი როგორ გამოყვობილხარ!

— სსს!.. ოფიცინაგამს ვატყვილებ, უცხოელი ვგონივარ და ნახე, როგორ მემსახურებინა!



ნახ. ბ. ლომიძისა

უსიტყვოდ

## ჩ რ ღ ი ლ ი გ ზ ა ზ ე

შენ ჩემს წინ დგახარ. გაველილი ავტობუსი აღმართს მიშყვება. ოთხი გაჩერება და... ჩახვალ. ასეთი კარგი არასოდეს ყოფილხარ! მომენტარე! რამდენი ხანია, აღარ მინახავხარ!

თმა დაიმოკლევ? თუმცა ასეც გიხდება. შენ, საერთოდ, ყველაფერი გიხდება. აი, ბარათაშვილის აღმართიც, სამი გაჩერებაც და... ვინ იცის, კიდევ როდის გნახავ.

გაფითრებული მეჩვენები. ავად ხომ არა ხარ? არა! დაილაღე, ალბათ. ავტობუსში ცხელა, ძალიან ცხელა... შენ ხომ ვერ იტან სიცხეს?

ო, რა ჩქარა მიდის ავტობუსი.. რატომ ხარ ჩემს მიმართ ასეთი გულცივი? ნუთუ, ვერა გრძნობ, როგორ ვიტანჯები ერთხელ მაინც შემომხედე, რა მოხდება?!

ეს მძლოლი გამაგიჟებს: სად ეჩქარება, ნეტავი, ამ დალოცვილს?.. მგონი, რალაცას მანიშნებს ხომ არ მეჩვენება? არა, ნამდვილად მანიშნებს. აა! ჩემს საქორწინო ბეჭედზე? აი, თურმე რატომ არ მაქცევდი ყურადღებას... რა ვქნა, ძვირფასო, ჩემი ბრალი არ არის, მაშინ შენ არ გიცნობდი, თორემ...

უკვე ჩაიღიხარ? მეც უნდა ჩამოვიდე, მეტი აღარ შემიძლია, უნდა გავეცნო.

მე... მე დათო მქვია..

— იცით რა, დათო, მთელი გზა მინდოდა მენიშნებინა, თან ძალიან მეშინოდა...

— გეშინოდა? რისი, ძვირფასო?

— ნუთუ ვერაფერი გაიგეთ?

თქვენს გვერდით ქურდი იდგა, საათი შეგხსნათ.

გივი ჩხაიძე



ნახ. ლ. სინბარულაძისა

უსიტყვოდ

## სილაპი და ქმარი

მამბატაძეები ფანების უცნაურ ბუნებაში დედამამებზე გაცილებით ცუდად ერკვევიან. ამის დასადასტურებლად ერთდროულად ორ სურათს წარმოგიდგინებ. იხილი ერთმანეთისაგან რამდენიმე საათით, შესაძლებელია რამდენიმე დღითაც იყვნენ დაშორებულნი.

პირველი სურათი ბაზარში, მეორე — რესტორანში. მთავარი პერსონაჟები: ცოლი და ქმარი, ცოლი, რათქმუნდა, — ბაზარში, ქმარი — რესტორანში.

ცოლი (ბაზარში): რა ღირს, კაცო, პამიდორი?

გამყიდველი: თხუთმეტი კაპიკი.  
ქმარი (რესტორანში): ერასტი! (ერასტი ოფიციალურად) ერთი ეს ათი მანეთი იმ კლარნეტისტს მიუტანე და უთხარი, „ერთი კინტო შეცავარ“ დაუკრას!

ცოლი (ბაზარში): კაცო, შენ გიჟი ხომ არა ხარ? თხუთმეტი კაპიკი რა ამბავია?! ღმერთი აღარა გწამს?!

გამყიდველი: გიჟიცა ხარ და ერთიც მეტი! არ გინდა, ნუ გინდა! ვინ გაძალღებს?

ქმარი (რესტორანში): ეგ კარგი იყო, ჩვენი ძმა! (ჩვენი ძმა კლარნეტისტია), მაგრამ ეგ ის „ერთი კინტო“ არ არის, მე რომ მინდოდა. აი, ეს „ერთი კინტო“ თუ იცი? (ჩუმად ჩაუღიღინებს).

ცოლი (ბაზარში): უყურე, კაცო, როგორ გავიდნენ თავს ეს სოფლებები? ლამის შეგვკამონ და კიდევ აქეთ გვლანძღავენ!

გამყიდველი: ქალო, გიჟი შენ დაძახე და კიდევ აქეთ მედავები?

ქმარი (რესტორანში): შენი ჭირიმე, ერასტი, ერთი შავი ხიზილა და ღოში გაგვიმეორე!

ერასტი (მებუფეტეს): ორი ხიზილა და ორი ღოში!

ცოლი (ბაზარში): მორჩი ლაპარაკს! ათ კაპიკს მოგცემ, თუ გინდა!

გამყიდველი: ქალო, ათ კაპიკად სოფელშიაც გავყიდი, ამხელა გზაზე ტყუილად ვათრიე? თუ გინდა, თორმეტად წაიღე!

ქმარი (რესტორანში): ერასტი, მოდი ერთი დავგლოცე და ჩვენს შჩორტში მუზიკანტებს ათი ბოთლი ღვინო მიართვი!

ერასტი: ავაშენათ ღმერთმა, ჩემო ბატონო!

ცოლი (ბაზარში): არა გრცხვენია, ორ კაპიკზე ლაპარაკობ?

გამყიდველი: დალოცვილო, შენც ორ კაპიკზე არ მელაპარაკები? ცოტა შენც დამითმე. სამი კაპიკი დაგიკელო, მეტი რალა გინდა?

ქმარი (რესტორანში): ერასტი, ერთი ანგარიში გავგისწორო!

ერასტი: ხიზილა — პირველად სამი, მეორედ — სამი; ღოში — პირველად სამი, მეორედ — სამი... სულ ოცდაცხრამეტი მანეთი და ოცი კაპიკი!

ქმარი: ა, შენ ორმოცდაათი მანეთი, მადლობელი ვარ!

ცოლი (ბაზარში): აფთიაქი ხომ არ არის, კაცო, ასე ზუსტად რომ მიწონი?

გამყიდველი: რა აფთიაქი, ქალო, ერთი პამიდორი ზედმეტი მიგაქვს!

გარეშე ხმა (ბაზარში): ქალბატონო, როგორ იყიდეთ პამიდორი?


ცოლი: თორმეტ კაპიკად.

გარეშე ხმა: ძალიან იაფად გიყიდათ. აგერ მე ცამეტი კაპიკი მიგეცი და არაფრით მაგაზე უკეთესი არ არის.

მკვლარი სცენა ბაზარში: სახეგაბრწყინებელი ცოლი სიხარულით დასცქერის გადარჩენილ სამკაპიკიანს.

მკვლარი სცენა ტაქსში: მძლოს ხელში მანეთიანი უჭირავს. მრისხველზე ოცდახუთი კაპიკი წერია. ქმარი გადმოდის ტაქსიდან და ხელით ანიშნებს, ხურდა არ მინდაო.

ზალვა გომელაძე



ქართული  
გოგლირთქვა

მთავარი  
რედაქტორი  
ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო  
კოლეგია:  
ზ. გომელაძე  
(პ/მგ. მდივანი),  
ნ. კლდიაშვილი,  
ბ. გალაყონია,  
ბ. ნიშნანიძე,  
(მთავ. რედ.  
მოადგილე),  
ნ. შველიძე,  
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის  
შურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პარკის № 42.

ნიანგი

რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.  
საერთო განყოფილების 99-10-78.  
ბალ.

თბილისი, სატირიკო-იუმორისტული  
ჟურნალი «ნიანგი».  
საქ. კვ. ცენტრალური  
კომიტეტის ბაზაზე  
გამოცემის ხელმოწევა.  
დასაბ. 29/VIII 1968 წ.  
ბალ. ზომა 70x108/8  
1 ნაბ. ფურც. 1,4.  
ფიზიკურ ფორმატა  
რედაქციო 1.  
პირობით ფორმატა  
რედაქციო 2. საქ. კვ.  
ც. კ. ბაზაზე გამოცემა  
ბის კომპონატი.  
თბილისი, ლენინის  
ბ. № 14. ფურც. № 2980.  
შე 02429.  
ბირაჟი 90.300.

КОНТРОЛЬНЫЙ  
ЭКЗЕМПЛЯР

68-300

1  
1968

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76137



ნ.ბ. ზ. ლაშვილისა

ბუზანკალები თბილისის ქუჩებში.